

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ქუთაისის უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ეკონომიკის დეპარტამენტი



დამტკიცებულია აკადემური საბჭოს სხდომაზე
ოქმი № 3, “9” “ივნისი” 2011 წელი

რექტორი:

ლ. ქელბაქიანი

ს ა ბ ა კ ა ლ ა ვ რ ო პ რ ო გ რ ა მ ა

ეკონომიკა

ქუთაისი

2011

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

ეკონომიკა

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:

ბაკალავრიატი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:

აკადემიური

სწავლების ენა:

ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

ეკონომიკის ბაკალავრი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლების ატესტატი, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქართული ენის, ზოგადი უნარების, უცხო ენისა და ნებისმიერი მეოთხე არჩევითი საგნის წარმატებით ჩაბარება და ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვება.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

ეკონომიკა არის მეცნიერება სიმდიდრის წარმოების, განაწილების და მოხმარების შესახებ. პროგრამის მიზანია მიაწოდოს სტუდენტებს მყარი ცოდნა კომერციული და ორგანიზაციული საქმიანობის მრავალი ასპექტის შესახებ, აჩვენოს როგორ იღებენ ბიზნეს-ერთეულები გადაწყვეტილებებს იმის შესახებ, თუ რა აწარმოონ, როგორ აწარმოონ და ვისთვის აწარმოონ, ასევე აჩვენოს თუ როგორ მოქმედებს ისეთი მაკროეკონომიკური ფენომენები, როგორებიცაა ინფლაცია, უმუშევრობა, საპროცენტო განაკვეთი მომხმარებელთა და ბიზნეს-ერთეულების ქცევასა და გადაწყვეტილებებზე. სტუდენტებს ნათელი წარმოდგენა უნდა შეექმნათ ეკონომიკაში არსებულ ყველაზე აქტუალურ პრობლემებზე, როგორცაა საბაზრო სისტემის ფუნქციონირების მექანიზმები, რესურსების განაწილების მექანიზმები, კერძო და სახელმწიფო სექტორები ეკონომიკაში, სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციები და ა.შ. პროგრამის კურსდამთავრებულებს უნდა შეეძლოთ ეკონომიკური თეორიების ანალიზი, შეძლონ გაანალიზონ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები, პრიორიტეტები, ეკონომიკური განვითარების ტენდენციები, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, საფინანსო-საბიუჯეტო და მონეტარული პოლიტიკა.

პროგრამის ამოცანები

- შეასწავლოს სტუდენტებს ეკონომიკის და ბიზნესის საფუძვლები
- მისცეს სტუდენტებს პროფესიულ, საზოგადოებრივ და ორგანიზაციულ გარემოში დამოუკიდებელი აზროვნებისა და მოქმედების უნარი
- უზრუნველყოს სტუდენტები იმ აუცილებელი ცოდნით, რომელიც მათი წარმატებული პროფესიული კარიერის საფუძველი იქნება ეკონომიკის და ბიზნესის როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო სტრუქტურებში;
- ჩამოუყალიბოს სტუდენტებს ეკონომიკის ან მონათესავე დარგებში წარმატებული პროფესიული კარიერისათვის აუცილებელი ანალიტიკური აზროვნების, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების და კომუნიკაციის უნარები.

პროგრამის სტრუქტურა

უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად, გარემო პირობების და საკუთარი რესურსული პოტენციალის (როგორც აკადემიური, ისე მატერიალური) გათვალისწინებით, ქუთაისის უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს საკუთარი (ინდივიდუალური) სასწავლო პროგრამის ფორმირების ფართო არჩევანს.

სწავლების სტრატეგია მოიცავს, როგორც საბაზისო საკითხებისა და პრინციპების გადაცემას სხვადასხვა ეკონომიკურ დისციპლინებში, ისე განვითარების თანამედროვე პირობებისა და მომავალი ტენდენციების განსაზღვრას. ეს ერთგვარ საფუძველს ქმნის სტუდენტის მიერ მომავალში სამაგისტრო პროგრამის სრულყოფილად ათვისებისათვის, რომელსაც უფრო ვიწრო და კონკრეტიზირებული მიმართულება ექნება. პროგრამით გათვალისწინებული ეკონომიკური დისციპლინების შესწავლა, უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოფს ეკონომიკური ცოდნის გაღრმავებას სხვადასხვა მიმართულებით, სტუდენტებისათვის საბაზრო აზროვნების ახალ ეტაპზე გადასვლას და მოტივაციის ხელშეწყობას.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით:

კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

ქუთაისის უნივერსიტეტში მოქმედებს თანამედროვე საკრედიტო სისტემა, რომელიც ეფუძნება ამერიკული და ევროპული უნივერსიტეტების გამოცდილებას.

კრედიტების დაანგარიშების საფუძველად აღებულია ევროპული სისტემა (ECTS):

1 კრედიტი = 25 ასტრონომიული სთ.

საბაკალავრო პროგრამის მთლიანი მოცულობაა მინიმუმ 240 კრედიტი, მათ შორის:

- პროგრამის ზოგადი ნაწილი (საუნივერსიტეტო საგნების მოდული) - 60 კრედიტი, მათ შორის თავისუფალი კრედიტი - 10
- Major პროგრამა - 120 კრედიტი
- Minor პროგრამა - 60 კრედიტი

მეორე კურსის პირველი სემესტრიდან სტუდენტებს უფლება ეძლევათ აირჩიონ ქვემოთ მოყვანილი Minor პროგრამებიდან ერთ-ერთი:

- ბიზნესის ადმინისტრირება;
- ინფორმაციული ტექნოლოგიები;
- უცხო ენა;
- გამოყენებითი მათემატიკა.

ცხადია, ქუთაისის უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა სწავლების მიზნებს სახავს და შესაბამის შედეგებს აღწევს მისი სტრუქტურული მდგენელების მიზნებზე, ამოცანებსა და შედეგებზე დაყრდნობით. შესაბამისად, სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა მაქსიმალურად მოარგონ საკუთარ სურვილებსა და მისწრაფებებს სასწავლო პროგრამა, მიიღონ თეორიული ცოდნა და გამოიმუშაონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რაც ერთობ გაზრდის მათ კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე და მათთვის წარმატებული კარიერის ფორმირების საფუძველი გახდება.

სწავლის შედეგები და კურსდამთავრებულთა კომპეტენციები:

სწავლის შედეგად ითვლება კომპეტენციების ერთობლიობა, რომლითაც განისაზღვრება, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს, და რისი გაკეთება უნდა შეეძლოს სტუდენტს/კურსდამთავრებულს ამ ცოდნის გამოყენებით სასწავლო პროცესის, თუ მისი ცალკეული ეტაპის, დასრულების შედეგად.

ცოდნა და გაცნობიერება

აქვს ეკონომიკის სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. აქვს სფეროს კომპლექსური საკითხების

გაცნობიერება. პროგრამის წარმატებით დაძლევის შემთხვევაში ბაკალავრებს ექნებათ ეკონომიკურ მიმართულების ძირითად დისციპლინათა თეორიული ცოდნა, ჩამოყალიბდებით ეკონომიკური ანალიზის უნარ-ჩვევები. ისინი შეძლებენ ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ისტორიულ რაკურსში განხილვას, საქართველოს ეკონომიკის უფრო ღრმად შესწავლას, საჯარო ფინანსებისა და სექტორული ეკონომიკის ძირითადი პრობლემატიკის განზოგადებას, მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების აღქმას, რესურსული პოტენციალისა და მისი რაციონალური გამოყენების მჭიდროდ დაკავშირებას ეკონომიკურ ზრდასთან, ეკონომიკურ პროცესთა გაზომვადობის და სიტუაციური მოდელირების ელემენტების სრულყოფას. ექნებათ თეორიული ცოდნა ფინანსური ბაზრების, ინსტრუმენტების და ინსტიტუტების შესახებ. ეცოდინებათ სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები, ეკონომიკური აზრის განვითარების თეორიული ასპექტები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შეუძლიათ ეკონომიკის სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები შეძლებენ:

- უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური კატეგორიები, მოვლენები და პროცესები განიხილონ ისტორიულ რაკურსში, რითაც შეიქმნიან საფუძველს მომავალი თეორიული ცოდნისა და პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-განვითარებისათვის;

- შეძლებენ სწრაფად ცვალებად ეკონომიკურ გარემოსთან ადაპტირებას;
- განაზოგადონ მიკრო და მაკროეკონომიკის, საჯარო ფინანსების, დემოგრაფიის, სექტორული და რეგიონული ეკონომიკის ძირითადი პრობლემატიკა;

- მოახდინონ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის განზოგადებული ანალიზი;
- აღიქვან და სათანადოდ შეაფასონ მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები;
- მოახდინონ ეკონომიკურ პროცესთა და სიტუაციათა მარტივი მოდელირება და შესაბამისი დასკვნების წარმოდგენა;

- სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებასა და დასკვნების გამოტანას.
- შეიქმნან სისტემური წარმოდგენა საქართველოს და მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურებზე და განვითარების ტენდენციებზე.

დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია ეკონომიკური მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; შეუძლია ახალი ინფორმაციის მიღება და გადამუშავება, გააჩნია თვითანალიზის უნარი. შეუძლია მონაცემების ინტერპრეტაცია, კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და დიაგნოსტირება, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების განსაზღვრა, გადაწყვეტილების მიღების პრიციპების დასაბუთება და დაცვა.

კომუნიკაციის უნარი

მშობლიურ ენაზე

შეუძლია იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა, შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობის მიღება, შეუძლია რეფერატული სახის შრომის მომზადება, შეუძლია საქმიანი დოკუმენტის შედგენა ეკონომიკური ტერმინოლოგიის გამოყენებით;

უცხო ენაზე

შეუძლია ერთ-ერთ ევროპულ ენაზე (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) კომპლექსური საკითხის/კითხვის ფორმულირება/ ჩამოყალიბება, როგორც წერილობით, ასევე ზეპირად წარდგენა/პრეზენტაცია, შეუძლია გაიგოს კონკრეტული და აბსტრაქტული თემების მქონე რთული ტექსტების არსებითი შინაარსი, ესმის თავისი სპეციალობის სფერო და შეუძლია საქმიანი დისკუსიის წარმართვა; შეუძლია სპონტანური და შეუფერხებელი საუბარი, ნორმალური დიალოგის წარმართვა ენის მატარებელთან ორივე მოსაუბრის მხრიდან დიდი ძალისხმევის გარეშე; შეუძლია დამოუკიდებლად და სწრაფად ინგლისურ ენაზე სხვადასხვა თემებზე დაწერილი ტექსტების კითხვა; ინფორმაციის სხვადასხვა წყაროების გამოყენება; შესაძლოა უჭირდეს იშვიათად გამოყენებადი იდიომების გაგება. შეუძლია წერილობით ინგლისურ ენაზე მკაფიოდ ჩამოაყალიბოს თავის აზრები და შეხედულებები სხვადასხვა თემებზე; შეუძლია ანგარიშის და თხზულების დაწერა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია ელექტრონულ დოკუმენტებთან, ელექტრონულ ცხრილებთან, პრეზენტაციებთან, მონაცემთა ბაზებთან მუშაობა.

სწავლის უნარი

შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა, შეუძლია დამოუკიდებლად, ლიტერატურის გამოყენებით, აიმაღლოს ცოდნა, დამოუკიდებლად მუშაობს დარგობრივ სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურასთან.

ღირებულებები

მონაწილეობს ეთიკური ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად: პატივს სცემს მრავალფეროვნებას, შეუძლია პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკებაში და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა, მონაწილეობს ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავებაში, ახდენს ენთუზიაზმისა და ინიციატივის დემონსტრირებას, ეფექტურად ურთიერთობს სამუშაო/სასწავლო/პროფესიულ ჯგუფში, აცნობიერებს სამართლებრივ, ეთიკურ და კროსკულტურულ პასუხისმგებლობის როლს ორგანიზაციაში და საზოგადოებაში, გააჩნია პროფესიული პასუხისმგებლობა და აცნობიერებს ეთიკის, მდგრადი განვითარების ძირითად პრინციპებს.

დასაქმების სფეროები

ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხის მქონეებმა შეიძლება დაიკავონ პოზიციები მართვის ქვედა და საშუალო დონეებზე, ნებისმიერ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კომპანიაში, კერძო, სახელმწიფო, მუნიციპალური საწარმოებში, არაკომერციულ ორგანიზაციებში, გაერთიანებებში, რომლებსაც ესაჭიროებათ პროფესიული ცოდნა ეკონომიკის სფეროში. აგრეთვე ბანკებში, ბირჟებზე, საბაჟოებზე, საბიუჯეტო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, საინვესტიციო ფონდებში, საგადასახადო ორგანოებში, სხვადასხვა საწარმოთა საფინანსო-ეკონომიკურ სამსახურებში.

სწავლების მეთოდები

პროგრამით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევისათვის გამოყენებული იქნება სწავლებისა და სწავლის თანამედროვე მეთოდები, რაც დეტალურად გაწერილია უნივერსიტეტის დიდაქტიკურ კონცეფციაში. დამოუკიდებელი, კონკურენტული და თანამშრომლობითი სწავლების გზით სტუდენტთა ინტერაქციის ორგანიზება, მათი მიზანმიმართული ვარირებით სასწავლო პროცესის დაგეგმვა განაპირობებს მოტივაციის ამაღლებას, ცოდნის ათვისების ეფექტიანობას და სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას. ამასთან ერთად, სასწავლო პროცესის დაგეგმვაც უფრო მრავალფეროვნად, სახალისოდ, საინტერესოდ (ცოდნის ათვისების ხარისხი, კრიტიკულად გააზრება) და მრავლისმომცველად (უნარ-ჩვევების გამომუშავება, მეტი ინფორმაციის დაფარვა) შეიძლება. ტრადიციული ლექციების კვალდაკვალ გამოყენებულ იქნება პრაქტიკული მეცადინეობები, სამუშაო ჯგუფები, პროექტები, შემთხვევების ანალიზი და სწავლების სხვა აქტიური მეთოდები. თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაცია უნდა განხორციელდეს შესაბამის ბიზნეს-კომპანიაში პრაქტიკის გავლით, კომპანიაში ვიზიტებით და ასევე პრაქტიკოსი მენეჯერების სასწავლო პროცესში მონაწილეობით.

შეფასება

შეფასება არის საგნის, მოვლენის ან პროცესის შესაბამისობის განსაზღვრა წინასწარ დადგენილ კრიტერიუმებთან. შეფასების საშუალებით უნდა დადგინდეს სტუდენტის მიღწევების შესაბამისობა პროგრამით დასახულ შედეგებთან, ამ მიზნით გამოყენებულ იქნება შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია იმის დადგენა, რომ სტუდენტმა განავითარა ის უნარები, რომელიც აუცილებელია ბიზნესკონტექსტში პრობლემების გადასაჭრელად, შეუძლიათ თუ არა წინამძღვრებისა და პირობების ფორმულირება, კვლევის საკითხის დასმა, ანალიზი, დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება. შეუძლიათ თუ არა შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენება, საკუთარი საქმის ორგანიზება და თავისი შედეგებისა და რეკომენდაციების გადაცემა და არგუმენტირება/დაცვა. შეფასება უნდა იყოს, როგორც შემაჯამებელი ხასიათის, ასევე მაფორმირებელი (უკუკავშირის მიმცემი).

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებით.

შეფასების სტრუქტურა, საგნის ფარგლებში, ორ ელემენტად იყოფა - შუალედური და შემაჯამებელი. შუალედური ელემენტი შეიძლება დაიყოს კომპონენტებად, რომლებსაც, აგრეთვე, თავისი წილი აქვს ამ ელემენტის ფარგლებში.

ყოველი კონკრეტული შეფასება ორივე ელემენტის ჯამურ შედეგებს ეყრდნობა.

შეფასების მინიმალურ დადებით ქულად ითვლება 51.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების ინსტრუმენტს წარმოადგენს გამოცდა. გამოცდამ უნდა აჩვენოს, თუ რამდენად კარგად აითვისა სტუდენტმა შესაბამისი კურსი.

უნივერსიტეტში გამოცდები ტარდება მხოლოდ წერიტი ფორმით.

სტუდენტის საბოლოო გამოცდაზე დაშვების წინაპირობები:

- დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.
- რეფერატის (ესსეს) დაწერა/წაკითხვა, ნაშრომის მომზადება/პრეზენტაცია და სხვა. ეს ნიშნავს, იმას, რომ, თუ სტუდენტს არა აქვს ჩაბარებული რეფერატი, ან

კურსის ხელმძღვანელის მიერ მიცემული სხვა დავალება, ის არ დაიშვება ფინალურ გამოცდაზე, ვიდრე არ წარმოადგენს აღნიშნულ რეფერატს, იმ შემთხვევაშიც კი თუკი სხვა აქტივობების ჯამით უგროვდება დასკვნით გამოცდაზე დაშვებისათვის საკმარისი ქულები.

- ქუ-ის შინაგანაწესისა და ხელშეკრულების პირობების დაურღვევლობა.

შეფასების სისტემა

შეფასება ხდება ქულათა სისტემით. ყოველი კომპონენტის (გარდა დასწრება-აქტივობებისა) მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას.

სტუდენტის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს არა მხოლოდ მის მიერ უშუალოდ დამამთავრებელ გამოცდაზე მიღწეული წარმატება, არამედ მთელი კურსის დროს ნაჩვენები შედეგები.

საკრედიტო შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი - ნიშანი A (ფრიადი)
- მაქსიმალური შეფასების 81-90% - ნიშანი B (ძალიან კარგი)
- მაქსიმალური შეფასების 71-80% - ნიშანი C (კარგი)
- მაქსიმალური შეფასების 61-70% - ნიშანი D (დამაკმაყოფილებელი)
- მაქსიმალური შეფასების 51-60% - ნიშანი E (საკმარისი)

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:

- მაქსიმალური შეფასების 41-50% - ნიშანი FX (ვერ ჩააბარა), რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა, მაგრამ არაუმეტეს 1 თვის.

- მაქსიმალური შეფასების 41% და ნაკლები - ნიშანი F (ჩაიჭრა), რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

ქუში საბაკალავრო პროგრამა დასრულებულად ითვლება, თუ სტუდენტმა მოაგროვა პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები და წარმატებით დაიცვა საბაკალავრო ნაშრომი.

GPA გამოთვლის წესი

GPA	ქულა
4.0	91%-ზე მაღალი
3.7	85 - 91%
3.3	81 - 84.9%
3.0	75 - 80.9 %
2.7	71 - 74.9%
2.3	61 - 70.9%
2.0	51 - 60.9%
1.7	41 -50.9%
1.3	30 - 39.9%
1.0	20 -29.9%
0.0	0.0 -19.9%

GPA ინდივიდუალური კურსისთვის:

GPA-ს მინიჭება ყოველი ინდივიდუალური სასწავლო კურსისათვის ხდება ზემოთ მოყვანილი ცხრილის საფუძველზე, მაგალითად თუ სტუდენტმა მიიღო 88 ქულა, მაშინ მისი GPA არის 3.7.

როგორ გამოითვლება კუმულატიური (დაგროვილი) GPA?

სემესტრის ან სასწავლო წლის ბოლოს სტუდენტის კუმულატიური GPA გამოითვლება ფორმულით.

კუმულატიური GPA = საერთო ქულათა ჯამი / ათვისებული კრედიტების ჯამი

საერთო ქულა = **ინდივიდუალური GPA X კურსის კრედიტი**

მაგალითად, ვთქვათ, აიღეთ ორი 3 კრედიტიანი სასწავლო კურსი და მათში შესაბამისად მიიღეთ 88 ქულა (GPA 3.7) და 78 ქულა (GPA 3.0), მაშინ კუმულატიური GPA ამ ორი კურსისთვის იქნება:

საერთო ქულათა ჯამი = (3.7 X 3კრ.) + (3.0 X 3კრ.) = 11.1 + 9.0 = 20.1

ხოლო **კუმულატიური GPA** = 20.1 / 6 = 3.33

ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა

ა) საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულთა დიპლომის კატეგორიის განსაზღვრისათვის მთლიანი სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიანგარიშება კუმულატიური **GPA**, რის მიხედვითაც ქუ კურსდამთავრებულებს აძლევს შემდეგი ხარისხის დიპლომებს:

- **GPA 3.7 და მეტი** – წარჩინების დიპლომი: კომპენტენციის მაღალი დონით და ცოდნის შემოქმედებითად გამოყენების უნარით.

- ყველა საგანში დადებითი შეფასება და **GPA 3.7-ზე ნაკლები**- ჩვეულებრივი დიპლომი

დიპლომის კატეგორიის შეცვლის მიზნით სტუდენტმა შეიძლება ისარგებლოს საგნის გადაბარების უფლებით, მაგრამ არაუმეტეს სამი საგნისა. ასეთ შემთხვევაში ის იხდის საგნის იმ ღირებულებას, რაც არის დადგენილი საგნის ხელმეორედ აღების პერიოდისათვის.

მატერიალურ-ტექნიკური რესურსები

უნივერსიტეტს გააჩნია საკმარისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად: აუცილებელი სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. შენობა- ნაგებობები აღჭურვილია პროგრამის შესაბამისი ინვენტარით,

ადამიანური რესურსები

1. ნიკო ჩიხლაძე - სრული პროფესორი,
2. ციციხო დავითულიანი - ასოცირებული პროფესორი,
3. თეა კორძაძე - ასოცირებული პროფესორი,
4. რუსუდან გვილავა - ასოცირებული პროფესორი,
5. მაია ბერაძე - ასოცირებული პროფესორი,
6. დავით შავიანიძე - ასოცირებული პროფესორი,
7. დეზი მაღლაკელიძე - ასოცირებული პროფესორი,
8. ხათუნა შალამბერიძე - ასოცირებული პროფესორი,
9. ელგუჯა კონჯარია - ასოცირებული პროფესორი,
10. აკაკი ბაკურაძე - ასოცირებული პროფესორი,
11. ნაირა ვირსალაძე - ასოცირებული პროფესორი,
12. ეკა ბაბუნაშვილი - ასოცირებული პროფესორი,
13. კახა გაბელაშვილი - ასოცირებული პროფესორი,
14. ლაშა ლალიძე - ასოცირებული პროფესორი,
15. გურამ უფლისაშვილი - ასოცირებული პროფესორი,
16. ნინო ხაზარაძე - ასოცირებული პროფესორი

17. პაატა კლდიაშვილი - ასისტენტ პროფესორი,
18. აზა იშირაძე - ასისტენტ პროფესორი,
19. თეა ვალიშვილი - ასისტენტ პროფესორი,
20. მარინა ყიფიანი - ასისტენტ პროფესორი,
21. ოთარ შენგელია - მასწავლებელი,
22. ელგუჯა დეისაძე - მოწვეული სპეციალისტი,
23. დავით იობიძე - მოწვეული,
24. ერმალო ლანჩავა - მოწვეული, ფსიქოლოგიის აკადემიური დოქტორი,
25. მზისანა გურაბანიძე - სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი,
26. ნესტან კუტივაძე - მოწვეული, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი,
27. ბადრი ფორჩხიძე - მოწვეული, ფილოსოფიის დოქტორი.
28. მეგი გორგასლიძე - მოწვეული, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი